

შეთანხმება ვაჭრობაში გექნიკური ბარიერების შესახებ

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) წევრი სახელმწიფოები,

მხედველობაში იღებენ რა, ურუგვაის რაუნდის მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებებს;

სურთ რა, მისდინ 1994 წლის გარიფებსა და ვაჭრობაზე გენერალური შეთანხმების (GATT, გატი) მიზნებს;

აღიარებენ რა, იმ მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ამ მხრივ შეიძლება გააკეთონ საერთაშორისო სტანდარტებმა და შესაბამისობის შეფასების სისტემებმა, წარმოების ეფექტურობის გაზრდისა და საერთაშორისო ვაჭრობის გაიოლების გზით;

სურთ რა, ამისათვის ხელი შეუწყონ ზემოხსენებული საერთაშორისო სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების სრულყოფას;

სურთ რა, უზრუნველყონ, რომ გექნიკურმა რეგლამენტებმა და სტანდარტებმა, შეფუთვის, მარკირების, ეტიკეტირების და გექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების პროცედურების მოთხოვნების ჩათვლით, არ შექმნან ზედმეტი დაბრკოლებები საერთაშორისო ვაჭრობაში;

აღიარებენ რა, რომ არც ერთი სახელმწიფო არ იზღუდება მისი ექსპორტის ხარისხის უზრუნველყოფის, ან ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მცენარეთა და ცხოველთა და გარემოს დაცვის, ან არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის შეჩერების მიზნით მიიღოს საჭირო ზომები, რომლებიც მას მიზანშეწონილად მიაჩნია, იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ზომები არ უნდა იქნეს მიღებული ისეთი სახით, რომელიც იქნება თვითნებური თუ გაუმართლებელი დისკრიმინაციის საშუალება იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც უპირატესობა გააჩნიათ იგივე პირობებს, ან წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ფარული შეზღუდვის საშუალებას, მაშინაც კი, როდესაც სხვა შემთხვევებში შესაბამისობაშია წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან;

აღიარებენ რა, რომ არც ერთი ქვეყანა არ იზღუდება მიიღოს საჭირო ზომები, რომლებიც აუცილებელია უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ინტერესების დაცვისათვის;

აღიარებენ რა, იმ წვლილს, რომელიც შეიძლება იქონიოს საერთაშორისო სტანდარტიზაციამ განვითარებული ქვეყნებისაგან განვითარებადი ქვეყნებისათვის გექნიკური რეგლამენტების გადაცემის საქმეში;

აღიარებენ რა, რომ განვითარებადი ქვეყნები გექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების და გექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების პროცედურების ფორმულირებისა და გამოყენებისას შეიძლება წააწყდნენ სპეციფიკურ სიძნელეებს, და სურთ რა, ამ მიმართებით, დაეხმარონ მათ შესაბამის

ძალისხმევას;

თანხმდებიან შემდეგზე :

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

- 1.1. სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების ზოგად გერმინებს აქვს გაერო-ს სისტემაში და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოებში მიღებული განსაზღვრებებით მინიჭებული მნიშვნელობა, მათი კონტექსტის, ამასთანავე, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.
- 1.2. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის გამოიყენება გერმინთა მნიშვნელობები, რომლებიც მოცემულია დანართ 1-ში.
- 1.3. ყველა სახის პროდუქცია, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჩათვლით, ექვემდებარება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს.
- 1.4. საკუთარი წარმოებისა და მოხმარების მიზნით სახელმწიფო ორგანოების მიერ შემუშავებული შესყიდვის სპეციფიკაციები არ რეგულირდება წინამდებარე შეთანხმების დებულებებით, არამედ, განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებით, მისი მოქმედების სფეროს შესაბამისად.
- 1.5. წინამდებარე შეთანხმების დებულებები არ ვრცელდება სანიტარულ და ფიტოსანიტარულ მომეზზე, რომლებიც განსაზღვრულია სანიტარული და ფიტოსანიტარული მომეზის გამოყენების შესახებ შეთანხმებით, დანართ -ში.
- 1.6. ტექნიკურ რეგლამენტებზე, სტანდარტებსა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებზე წინამდებარე შეთანხმებაში გაკეთებული ყველა მითითება განმარტებულ უნდა იქნეს იმ სახით, რომ შეიცავდეს მათ ნებისმიერ ცვლილებებსა და დამატებებს წესებზე ან მათ მიერ მოცულ საქონელზე, გარდა უმნიშვნელო ცვლილებებისა და დამატებებისა.

ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები

მუხლი 2

ცენტრალური სამთავრობო ორგანოების მიერ ტექნიკური რეგლამენტების მომზადება, მიღება და გამოყენება

ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებთან მიმართებაში:

- 2.1. ტექნიკურ რეგლამენტებთან დაკავშირებით, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მსო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიიდან იმპორტირებულ პროდუქციას მიენიჭოს არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ეს გააჩნია ეროვნული წარმოშობის მსგავს პროდუქციასა და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში წარმოშობილ მსგავს პროდუქციას.
- 2.2. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტექნიკური რეგლამენტები არ იქნეს მომზადებული, მიღებული და გამოყენებული ისეთი სახით, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში შექმნან ბედმეტი დაბრკოლებები ან ჰქონდეთ მათი შექმნის საშუალება. ამ მიზნებისათვის, ტექნიკურმა რეგლამენტებმა ვაჭრობაზე არ

უნდა მოახდინონ უფრო შემზღუდავი ზემოქმედება, ვიდრე აუცილებელია კანონიერი მიზნების მისაღწევად, იმ რისკის გათვალისწინებით, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი დაუცველობის შემთხვევაში. ამგვარ კანონიერ მიზნებს წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნები; არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღკვეთა; ადამიანთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ან ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა. ამ გიპის რისკის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ისეთი ფაქტორები, როგორცაა არსებული მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაცია, დამუშავების შესაბამისი ტექნოლოგია ან პროდუქციის ნავარაუდები საბოლოო მოხმარება.

2.3. ტექნიკური რეგლამენტები არ უნდა გამოიყენებოდეს, თუკი, აღარ არსებობს მათი მიღების გამომწვევი გარემოებები ან მიზნები, ან თუკი, შეცვლილი გარემოებები და მიზნები საშუალებას იძლევა გამოიყენებულ იქნეს ვაჭრობის ნაკლებად შემზღუდავი მეთოდები.

2.4. იმ შემთხვევაში, თუკი გაჩნდება ტექნიკური რეგლამენტის შემოღების აუცილებლობა და არსებობს საერთაშორისო სტანდარტები ან დასრულების სტადიაშია მათი შემუშავება, მსო-ს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან თავიანთი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებისას, საფუძვლად გამოიყენონ ისინი ან მათი შესაბამისი ნაწილები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შესაბამისი ნაწილები არ იქნება ეფექტური ან არ იქნება შესაფერისი საშუალება კანონიერი მიზნების მისაღწევად, მაგალითად მნიშვნელოვანი კლიმატური ან გეოგრაფიული ფაქტორების, ან მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პრობლემების არსებობისას.

2.5. მსო-ს წევრი სახელმწიფო, რომელიც ამზადებს, იღებს ან იყენებს ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების ვაჭრობაზე, ვალდებულია მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოს მოთხოვნისას, 2-4 პარაგრაფებში გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად ახსნა-განმარტება გაუკეთოს ამგვარი ტექნიკური რეგლამენტის შემოღების აუცილებლობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია, მიღებულია ან გამოიყენება მე-2 პარაგრაფში დეტალურად აღწერილი კანონიერი მიზნებისათვის და იგი შესაბამისობაშია მოცემულ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან, მაშინ, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ იგი არ ქმნიდეს ზედმეტ დაბრკოლებებს საერთაშორისო ვაჭრობაში.

2.6. ტექნიკური რეგლამენტების შეძლებისდაგვარად ფართო ჰარმონიზაციის მიზნით, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, სრულფასოვანი მონაწილეობა უნდა მიიღონ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ იმ პროდუქციაზე საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში, რომელთათვისაც მათ მიღებული აქვთ, ან აპირებენ ტექნიკური რეგლამენტების მიღებას.

2.7. მსო-ს წევრი სახელმწიფოს მიერ დადებითად უნდა იქნეს განხილული მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების ტექნიკური რეგლამენტების ექვივალენტად მიღების შესაძლებლობა, მაშინაც კი, როდესაც ეს რეგლამენტები განსხვავდება მათი საკუთარისაგან, იმ პირობით, თუ ისინი რწმუნდებიან, რომ ეს რეგლამენტები აღეკვამურად ასრულებენ მათი საკუთარი რეგლამენტების მიზნებს.

2.8. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მიზანშეწონილია, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ტექნიკური რეგლამენტები უნდა შეიმუშაონ, უპირველესყოვლისა, პროდუქციის

საექსპლუატაციო ხასიათის მოთხოვნების საფუძველზე და არა პროდუქციის დიზაინისა და გარეგნული თვისებების მიხედვით.

2.9. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტი, ან შემუშავების სტადიაში მყოფი ტექნიკური რეგლამენტის ტექნიკური შინაარსი არ შეესაბამება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის ტექნიკურ შინაარსს და თუ ტექნიკურ რეგლამენტს შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების ვაჭრობაზე, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან:

2.9.1. კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტის მოსალოდნელ შემოღებაზე, ადრეულ ეტაპზე გამოაქვეყნონ შეცვობინება ბეჭდვით ორგანოებში, რათა მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათი გაცნობის საშუალება;

2.9.2. მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს სამდივნოს მეშვეობით აცნობონ იმ პროდუქციის დასახელება, რომელზედაც გავრცელდება შემუშავების სტადიაში მყოფი ტექნიკური რეგლამენტი და თან უნდა დაერთოს შეცვობინება ტექნიკური რეგლამენტის შემოღების მიზნებისა და მიზნების შესახებ. ამგვარი შეცვობინება უნდა ქვეყნდებოდეს შესაბამისად ადრეულ სტადიაზე, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია მიღებულ იქნეს დამატებები და გათვალისწინებულ იქნეს შენიშვნები;

2.9.3. მოთხოვნის საფუძველზე, მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაწოდონ შემუშავების სტადიაში მყოფი ტექნიკური რეგლამენტის ასლები ან მათი დეტალური აღწერა და როდესაც შესაძლებელია, მიუთითონ ის ადგილები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტისაგან;

2.9.4. ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის გაითვალისწინონ დროის საკმარისი პერიოდი, რათა მათ გააკეთონ წერილობითი შენიშვნები, თხოვნის შემთხვევაში განიხილონ ეს შენიშვნები და ამ განხილვების შედეგები.

2.10. მე-9 პარაგრაფის ქვეპუნქტების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიქმნება ან შეიძლება წარმოიქმნას უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის ან ეროვნული უსაფრთხოების გადაუღებელი პრობლემები, მსო-ს წევრ სახელმწიფოს შეუძლია არ მიმართოს მე-9 პარაგრაფში ჩამოთვლილ ქმედებებს, იმ პირობით, რომ ტექნიკური რეგლამენტის მიღების შემდეგ, მსო-ს მოცემული წევრი სახელმწიფო ვალდებულია:

2.10.1. მსო-ს სამდივნოს მეშვეობით, დაუყოვნებლივ აცნობოს მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტისა და მისი მოქმედების სფეროში მყოფი პროდუქციის შესახებ და თან დაურთოს აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის შემოღების მიზნებისა და მიზნების შესახებ მოკლე მითითება, რომელშიც შეგანილი იქნება ამ გადაუღებელი პრობლემების არსი.

2.10.2. მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მათ ტექნიკური რეგლამენტების ასლები;

2.10.3. დისკრიმინაციის გარეშე, ნება დართონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს წერილობითი ფორმით შენიშვნების გაკეთებაზე, მოთხოვნის საფუძველზე განიხილონ ეს შენიშვნები და გაითვალისწინონ წერილობითი შენიშვნები და მოცემული განხილვების შედეგები.

2.11. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მიღებული ტექნიკური რეგლამენტები შეუფერხებლად ქვეყნდებოდეს, ან სხვა გზებით იყოს

ხელმისაწვდომი, რათა მსო-ს სხვა სახელმწიფოების დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათი გაცნობის საშუალება.

2.12. მე-10 პარაგრაფში მოცემული გადაუდებელი შემთხვევების გარდა, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ტექნიკური რეგლამენტების გამოქვეყნებასა და მათ ძალაში შესვლას შორის უნდა ითვალისწინებდნენ დროის საკმარის პერიოდს, რათა მსო-ს ექსპორტიორ წევრ ქვეყნებში და განსაკუთრებით განვითარებად წევრ ქვეყნებში პროდუქციის მწარმოებლებს ჰქონდეთ დრო მსო-ს იმპორტიორი წევრი ქვეყნების მოთხოვნებთან პროდუქციისა და წარმოების მეთოდების ადაპტირებისათვის.

მუხლი 3

ადგილობრივი სამთავრობო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანოების მიერ ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება, მიღება და გამოყენება

მათ გერიგორიაზე მყოფ ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებთან დაკავშირებით:

3.1. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი გონივრული ზომები, რომ ამ ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 მუხლის შესრულება, გარდა შეგყობინების ვალდებულებისა, რომელიც მოცემულია მე-2 მუხლის 9.2. და 10.1. პუნქტებში.

3.2. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების ტექნიკური რეგლამენტების, რომლებიც უფრო დაბალ დონეზე იმყოფებიან ვიდრე მსო-ს წევრი სახელმწიფოების ტექნიკური რეგლამენტები, შეგყობინება მოხდეს მე-2 მუხლის 9.2. და 10.1. პუნქტების შესაბამისად; ამასთანავე, შეგყობინება არ უნდა იქნეს მოთხოვნილი, თუკი, ამდგვარი ტექნიკური რეგლამენტის ტექნიკური შინაარსი ძირითადად შეესაბამება მსო-ს წევრი სახელმწიფოების ცენტრალური სამთავრობო ორგანოების იმ ტექნიკურ რეგლამენტებს, რომელთა შეგყობინებაც უკვე გაკეთებულია.

3.3. მსო-ს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მსო-ს სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტები, შეგყობინების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, შენიშვნებისა და განხილვის ჩათვლით, რომლებიც მოხსენიებულია მე-2 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში, ხდებოდეს ცენტრალური მთავრობის მეშვეობით.

3.4. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც მათ გერიგორიაზე მყოფი ადგილობრივი სამთავრობო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანოებისაგან მოითხოვდა ან ხელს შეუწყობდა მათ ემოქმედათ მე-2 მუხლის დებულებების არაშესაბამისად.

3.5. წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლის დებულებების შესრულებაზე მსო-ს წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა. მსო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ და გატარებულ უნდა იქნეს ისეთი მხარდამჭერი ზომები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-2 მუხლის დებულებების შესრულებას ცენტრალური სამთავრობო ორგანოების გარდა.

მუხლი 4

სტანდარტების მომზადება, მიღება და გამოყენება

4.1. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სტანდარტების

მომზადების, მიღებისა და გამოყენებისას, მათმა სტანდარტიზაციის ცენტრალურმა სამთავრობო ორგანოებმა მიიღონ და იმოქმედონ კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის შესაბამისად, როგორც ეს მოცემულია წინამდებარე შეთანხმების დანართ 3-ში (ეგრეთწოდებული 'კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი'). მათ უნდა მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი მიზანშეწონილი ზომები, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათ გერიგორიაზე მყოფი სტანდარტიზაციის ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოების და აგრეთვე, სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანოების მიერ, რომელთა წევრებიც არიან თვითონ ან მათ გერიგორიაზე მყოფი ერთი ან მეტი ორგანო, კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის მიღება და შესრულება, გარდა ამისა, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც პირდაპირ მოითხოვდა ან ხელს შეუწყობდა ასეთ ორგანოებს ემოქმედათ კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის არაშესაბამისად. მსო-ს წევრი სახელმწიფოების სტანდარტიზაციის ორგანოების კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსის მიმართ ვალდებულებები ძალაშია იმის მიუხედავად, აღიარა თუ არა სტანდარტიზაციის ორგანომ კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი.

4.2. სტანდარტიზაციის ორგანოები, რომელთაც მიიღეს კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი და მოქმედებენ მის შესაბამისად, მსო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ აღიარებულ უნდა იქნენ, როგორც წინამდებარე შეთანხმების პრინციპების შემსრულებლები.

ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა

მუხლი 5

ცენტრალური სამთავრობო ორგანოების შესაბამისობის შეფასების პროცედურები

5.1. იმ შემთხვევებში, როდესაც მოთხოვნილია ტექნიკურ რეგლამენტებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადებითი დადასტურება, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მათმა ცენტრალურმა სამთავრობო ორგანოებმა მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების გერიგორიაზე წარმოშობილი პროდუქციის მიმართ გამოიყენონ შემდეგი დებულებები :

5.1.1. შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავება, მიღება და გამოყენება ხდება ისეთი წესით, რომ მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოს გერიგორიაზე წარმოშობილი მსგავსი პროდუქციის მომწოდებლებს მიენიჭოთ დაშვება არანაკლებ ხელსაყრელი პირობებით, ვიდრე მსგავს სიგუაციაში ეძლევათ ეროვნული წარმოშობის პროდუქციის ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს გერიგორიაზე წარმოშობილი პროდუქციის მიმწოდებლებს; დაშვება გულისხმობს მიმწოდებლის უფლებას, წესების დაცვით, შესაბამისობის შეფასების პროცედურის ჩაგარებაზე, რომელიც ითვალისწინებს, იქ სადაც ეს გათვალისწინებულია აღნიშნული პროცედურით, შესაბამისობის შეფასების პროცედურის ჩაგარების შესაძლებლობას წარმოების ადგილზე და აღნიშნული შეფასების დამადასტურებელი შგამპის მიღებას;

5.1.2. შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავება, მიღება და გამოყენება არ ხდება ისეთი წესით, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში შეიქმნას გედმეგი დაბრკოლებები ან არსებობდეს მათი შექმნის პირობა. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ შესაბამისობის შეფასების პროცედურები არ უნდა იყოს უფრო მკაცრი ან გამოიყენებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მსო-ს წევრ

იმპორტიორ სახელმწიფოს მიეცეს ადეკვატური რწმუნება იმისა, რომ პროდუქცია შესაბამისაა მოქმედ გექნიკურ რეგლამენტებს ან სტანდარტებს, იმ რისკის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება ყოფილიყო შეუსაბამობის შემთხვევაში.

5.3. 1-ლი პუნქტის დებულებების განხორციელებისას, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

5.3.1. შესაბამისობის შეფასების პროცედურების ჩატარება და დასრულება მოხდეს, რაც შეიძლება, მოკლე ვადებში და მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებში წარმოშობილი პროდუქციისათვის არანაკლებ ხელსაყრელი ფორმით, ვიდრე მსგავსი სამამულო წარმოშობის პროდუქციისათვის;

5.3.2. შესაბამისობის შეფასების თითოეული პროცედურის განხორციელებისათვის საჭირო დროის ნორმალური პერიოდი ქვეყნდებოდეს ან, განმცხადებლის მოთხოვნისამებრ, ეცნობებოდეს მას პროცედურის განხორციელებაზე ნავარაუდები პერიოდი; განცხადების მიღებისთანავე, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა განიხილოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულე და საჭირო დოკუმენტების არყოფნის შემთხვევაში, კონკრეტული და ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს განმცხადებელს; კომპეტენტურმა ორგანომ, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა აცნობოს განმცხადებელს კონკრეტული და ამომწურავი ინფორმაცია შეფასების შედეგების შესახებ, რათა აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს კორექტირება; მაშინაც კი, როდესაც განცხადებას აქვს ხარვეზები, განმცხადებლის თხოვნის შესაბამისად, კომპეტენტურმა ორგანომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოახდინოს შესაბამისობის შეფასება; და რომ განმცხადებელს მოთხოვნისამებრ, მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა სტადიაშია ეს პროცედურა, ნებისმიერი შეფერხების შესახებ განმარტებით;

5.3.3. ინფორმაციის მოთხოვნა უნდა შემოიფარგლოს იმით, რაც აუცილებელია შესაბამისობის შეფასებისა და გადასახადის მოცულობის დადგენისათვის;

5.3.4. მსო-ს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქციის შესაბამისობის შეფასების პროცედურისათვის საჭირო ან ამ პროდუქციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა ისევე უნდა იქნეს დაცული, როგორც სამამულო წარმოშობის პროდუქციისათვის, იმ სახით, რომ დაცული იქნეს კანონიერი კომერციული ინტერესები;

5.3.5. მსო-ს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე წარმოშობილი პროდუქციის შესაბამისობის შეფასებისათვის აკრეფილი ნებისმიერი გადასახადი უნდა იყოს სამამულო წარმოშობის ან მსო-ს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი მსგავსი პროდუქციის შესაბამისობის შეფასებაზე აკრეფილი გადასახადის ექვივალენტური, გათვალისწინებულ უნდა იქნეს რა განმცხადებლისა და შესაბამისობის შეფასების ორგანოს საწარმოების მდებარეობას შორის არსებული განსხვავებების გამო წარმოქმნილი კავშირგაბმულობის, გრანსპორტირებისა და სხვა ხარჯები;

5.3.6. შესაბამისობის შეფასების პროცედურებში გამოყენებული წარმოების ადგილი და ნიმუშების არჩევანი არ უნდა იყოს ისეთი, რომ ზედმეტი უხერხულობა შეუქმნას განმცხადებლებს ან მათ აგენტებს;

5.3.7. როდესაც მოქმედ გექნიკურ რეგლამენტებთან ან სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ხდება პროდუქციის სპეციფიკაციის ცვლილება, შეცვლილი პროდუქციის შესაბამისობის შეფასების პროცედურა უნდა შემოიფარგლოს იმით, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ არსებობდეს ადეკვატური რწმუნება იმისა, რომ ეს

პროდუქცია მაინც აკმაყოფილებს შესაბამის გექნიკურ რეგლამენტებს ან სტანდარტებს; 5.3.8. არსებობს იმის პროცედურა, რომ განხილული იქნას შესაბამისობის შეფასების პროცედურის მოქმედებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი საჩივრები და, თუ საჩივარი სამართლიანია, მოხდეს მაკორექტირებელი ცვლილებების შეტანა.

5.4.1-ელ და მე-2 პუნქტებში არაფერი არ მზღდავს მსო-ს წევრ სახელმწიფოებს, მათი ტერიტორიების ფარგლებში განახორციელონ ადგილების საფუძვლიანი შემოწმებები.

5.5. იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა დადებითი დადასტურება იმისა, რომ პროდუქცია შეესაბამება გექნიკურ რეგლამენტებს ან სტანდარტებს და ამის შესახებ არსებობს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოშვებული შესაბამისი სახელმძღვანელოები ან რეკომენდაციები, ან დასრულების სტადიაშია მათი შემუშავება, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ შესაბამისობის შეფასების პროცედურის საფუძვლად ცენტრალურმა სამთავრობო ორგანოებმა გამოიყენონ ისინი, ან მათი შესაბამისი ნაწილები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები ან მათი ნაწილები უვარგისია მსო-ს წევრი სახელმწიფოებისათვის იმ მიზეზებით, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოების მოთხოვნები; არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღკვეთა; ადამიანთა ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების, ცხოველთა ან მცენარეთა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის, ან გარემოს დაცვა; არსებული კლიმატური ან სხვა გეოგრაფიული ფაქტორები; არსებულ გექნოლოგიებთან ან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც სათანადო დონეზე უნდა იქნეს განმარტებული მოთხოვნისამებრ.

5.6. შესაბამისობის შეფასების პროცედურების შეძლებისდაგვარად ფართო ჰარმონიზაციის მიზნით, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, სრული მონაწილეობა უნდა მიიღონ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ შესაბამისობის შეფასების პროცედურებისათვის სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

5.7. იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოს სახელმძღვანელო ან რეკომენდაცია, ან შემუშავების სტადიაში მყოფი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გექნიკური შინაარსი არ შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების სახელმძღვანელოებსა და რეკომენდაციებს და თუკი, შესაბამისობის შეფასების ამ პროცედურას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების ვაჭრობაზე, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან :

5.7.1. შესაბამისობის შეფასების კონკრეტული პროცედურის მოსალოდნელ შემოღებაზე, ადრეულ ეტაპზე გამოაქვეყნონ შეტყობინება ბეჭდვით ორგანოებში, რათა მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათი გაცნობის საშუალება;

5.7.2. მსო-ს სხვა სახელმწიფოებს, სამდივნოს მეშვეობით, აცნობონ იმ პროდუქციის დასახელება, რომელზედაც გავრცელდება შემუშავების სტადიაში მყოფი შესაბამისობის შეფასების პროცედურა და თან უნდა დაურთონ შეტყობინება მისი შემოღების მიზეზებისა და მიზნების შესახებ. ამდაგვარი შეტყობინება უნდა ქვეყნდებოდეს, შესაბამისად, ადრეულ სტადიაზე, როდესაც ჯერ კიდევ შესაძლებელია მიღებულ იქნეს დამატებები და გათვალისწინებულ იქნეს შენიშვნები;

5.7.3. მოთხოვნის საფუძველზე, მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაწოდონ მოსალოდნელი პროცედურის დეტალური აღწერა და, როდესაც ეს შესაძლებელია, მიუთითონ ის ნაწილები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სტანდარტიზაციის

საერთაშორისო ორგანოების მიერ გამოცემული სახელმძღვანელოების ან რეკომენდაციებისაგან;

5.7.4. ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის გაითვალისწინონ დროის საკმარისი პერიოდი, რათა მათ გააკეთონ წერილობითი შენიშვნები, თხოვნის შემთხვევაში განიხილონ ეს შენიშვნები და ამ განხილვების შედეგები.

5.8. მე-6 პუნქტის ქვეპუნქტების გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოიქმნება ან შეიძლება წარმოიქმნას უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, გარემოს დაცვის ან სახელმწიფო უშიშროების გადაუდებელი პრობლემები, მსო-ს წევრ სახელმწიფოს შეუძლია არ მიმართოს მე-6 პარაგრაფში ჩამოთვლილ ქმედებებს, იმ პირობით, რომ პროცედურის მიღების შემდეგ, მსო-ს მოცემული წევრი სახელმწიფო ვალდებულია:

5.8.1. მსო-ს სამდივნოს მეშვეობით, დაუყოვნებლივ აცნობოს მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს კონკრეტული პროცედურისა და მისი მოქმედების სფეროში მყოფი პროდუქციის შესახებ და თან დაურთოს აღნიშნული პროცედურის შემოღების მიზნებისა და მიზეზების შესახებ შეგყობინება, რომელშიც შეგანილი იქნება ამ გადაუდებელი პრობლემების არსი.

5.8.2. მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მათ პროცედურული წესების ასლები;

5.9. დისკრიმინაციის გარეშე, ნება დართოს მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს წერილობითი ფორმით შენიშვნების გაკეთებაზე, მოთხოვნის საფუძველზე განიხილოს ეს შენიშვნები და გაითვალისწინოს წერილობითი შენიშვნები და მოცემული განხილვების შედეგები.

5.10. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მიღებული შესაბამისობის შეფასების პროცედურები შეუფერხებლად ქვეყნდებოდეს, ან სხვა გზებით იყოს ხელმისაწვდომი, რათა მსო-ს სხვა სახელმწიფოების დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მათი გაცნობის საშუალება.

5.11. მე-7 პუნქტში მოცემული გადაუდებელი შემთხვევების გარდა, მსო-ს წევრი სახელმწიფოები, შესაბამისობის შეფასების პროცედურების გამოქვეყნებასა და მათ ძალაში შესვლას შორის, უნდა ითვალისწინებდნენ დროის საკმარისი პერიოდს, რათა მსო-ს ექსპორტიორ წევრ ქვეყნებში და განსაკუთრებით, განვითარებად წევრ ქვეყნებში პროდუქციის მწარმოებლებს ჰქონდეთ დრო მსო-ს იმპორტიორი წევრი ქვეყნების მოთხოვნებთან პროდუქციისა და წარმოების მეთოდების ადაპტირებისათვის.

მუხლი 6

ცენტრალური სამთავრობო ორგანოების მიერ შესაბამისობის შეფასების აღიარება

თავიანთ ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებთან

დაკავშირებით:

6.1. მე-3 და მე-4 პუნქტების დებულებების დაურღვევლად, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეძლებისდაგვარად, უზრუნველყონ მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების შესაბამისობის შეფასების პროცედურების აღიარება, მაშინაც კი, როდესაც ამდაგვარი პროცედურები განსხვავდება მათი საკუთარისაგან, იმ პირობით, თუ ისინი რწმუნდებიან, რომ მოცემული პროცედურები ისევე შეესაბამება

მოქმედ გექნიკურ რეგლამენტებს ან სტანდარტებს, როგორც მათი საკუთარი პროცედურები. აღიარებულია, რომ შეიძლება საჭირო გახდეს წინასწარი კონსულტაციების გამართვა, რათა მიღწეულ იქნეს ურთიერთდამაკმაყოფილებელი შეთანხმება, კერძოდ კი, შემდეგში :

6.1.1. მსო-ს ექსპორტიორი წევრი სახელმწიფოს შესაბამისობის შეფასების ორგანოთა საკმარის და საიმედო კომპეტენციაში, რათა დარწმუნებულნი იყვნენ მათ მიერ განხორციელებული შესაბამისობის შეფასების შედეგების გრძელვადიან საიმედოობაში; ამ მხრივ, დადასტურებული შესაბამისობა, ასე მაგალითად, აკრედიტაციის გზით, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ ამ სფეროში გამოცემულ სახელმძღვანელოებთან და რეკომენდაციებთან ერთად, უნდა ითვლებოდეს, როგორც საკმარისი გექნიკური კომპეტენციის დამამტკიცებელი საბუთი;

6.1.2. მსო-ს ექსპორტიორ წევრ სახელმწიფოებში დანიშნული ორგანოებისაგან მიღებული შესაბამისობის შეფასების შედეგების აღიარებით შემოფარგვლა.

6.2. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მათი შესაბამისობის შეფასების პროცედურებმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შესრულებადი გახადოს 1 პუნქტში მოცემული დებულებების განხორციელება.

6.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოები მოწოდებული არიან კეთილგანწყობით განიხილონ მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების თხოვნა, შესაბამისობის შეფასების პროცედურების ურთიერთაღიარების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით, მოლაპარაკებების გამართვის თაობაზე. წევრებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ასეთი შეთანხმებები ასრულებდეს 1-ლი პუნქტის კრიტერიუმებს და ურთიერთდამაკმაყოფილებელი იყოს შესაბამისი საქონლით ვაჭრობის ხელშეწყობისათვის.

6.4. მსო-ს წევრი სახელმწიფოები მოწოდებული არიან, რომ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოთა გერიგორიაზე არსებულ შესაბამისობის შეფასების ორგანოებს, დართონ მათ საკუთარ შესაბამისობის შეფასების პროცედურებში მონაწილეობის უფლება არანაკლები პირობით, ვიდრე ეს გააჩნიათ მათ გერიგორიაზე ან მსო-ს ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს გერიგორიაზე არსებულ ორგანოებს.

მუხლი 7

ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების შესაბამისობის შეფასების პროცედურები

მათ გერიგორიაზე მყოფ ადგილობრივ სამთავრობო ორგანოებთან დაკავშირებით:

7.1. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი მიზანშეწონილი ზომები, რომ ამ ორგანოების მიერ უზრუნველყოფილ იქნეს მე-5 და მე-6 მუხლების შესრულება, გარდა შეცვობინების ვალდებულებისა, რომელიც მოცემულია მე-5 მუხლის 6.2. და 7.1. პუნქტებში.

7.2. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების შესაბამისობის შეფასების იმ პროცედურების შეცვობინება, რომლებიც უფრო დაბალ დონეზე იმყოფებიან ვიდრე მსო-ს წევრი სახელმწიფოების შესაბამისობის შეფასების პროცედურები, მოხდეს მე-5 მუხლის 6.2. და 7.1. პუნქტების შესაბამისად, ამასთანავე, შეცვობინება არ უნდა იქნეს მოთხოვნილი, თუკი, ამგვარი შესაბამისობის შეფასების პროცედურების გექნიკური შინაარსი ძირითადად შეესაბამება მსო-ს წევრი სახელმწიფოების ცენტრალური სამთავრობო ორგანოების იმ შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომელთა შეცვობინებაც უკვე გაკეთებულია.

7.3. მსო-ს წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მსო-ს სხვა წევრ

სახელმწიფოებთან კონტაქტები, შეგყობინების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, შენიშვნებისა და განხილვის ჩათვლით, რომლებიც მითითებულია მე-5 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში, ხდებოდეს ცენტრალური მთავრობის მეშვეობით.

7.4. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც მათ გერიგორიაზე მყოფი ადგილობრივი სამთავრობო ორგანოებისაგან მოითხოვდა ან ხელს შეუწყობდა მათ, ემოქმედათ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების არაშესაბამისად.

7.5. წინამდებარე შეთანხმების მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების შესრულებაზე მსო-ს წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა. მსო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ და გაგარებულ უნდა იქნეს ისეთი მხარდამჭერი ზომები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს, არაცენტრალური სამთავრობო ორგანოების მიერ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების შესრულებას.

მუხლი 8

არასამთავრობო ორგანოების შესაბამისობის შეფასების

პროცედურები

8.1. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი მიზანშეწონილი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ გერიგორიაზე არსებული, შესაბამისობის შეფასების პროცედურების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანოების მიერ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების შესრულებას, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ეხება დამუშავების სტადიაში მყოფი შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ შეგყობინების გაკეთებას. გარდა ამისა, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა არ უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც ასეთი ორგანოებისაგან მოითხოვდა ან ხელს შეუწყობდა მათ, ემოქმედათ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების არაშესაბამისად.

8.2. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ცენტრალური სამთავრობო ორგანოები არასამთავრობო ორგანოების მიერ ჩაგარებულ შესაბამისობის შეფასების პროცედურებს დაეყრდნონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ორგანოები პროცედურებს აგარებენ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების შესაბამისად, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ეხება დამუშავების სტადიაში მყოფი შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ შეგყობინების გაკეთებას.

მუხლი 9

საერთაშორისო და რეგიონული სისტემები

9.1. იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილია ტექნიკურ რეგლამენტთან ან სტანდარტთან შესაბამისობის დადებითი დადასტურება, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, როდესაც ეს მიზანშეწონილია, შეიმუშავონ და დანერგონ შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო სისტემები და გახდნენ მათი წევრები ან მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში.

9.2. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი დასაბუთებული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების დაცვას შესაბამისობის შეფასების იმ საერთაშორისო და რეგიონული სისტემების მიერ, რომლებშიც მონაწილეობენ მათ გერიგორიაზე არსებული შესაბამისი ორგანოები. გარდა ამისა, მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა არ

უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც ასეთი სისგემებისაგან, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, მოითხოვდა ან ხელს შეუწყობდა მათ, ემოქმედათ მე-5 და მე-6 მუხლების დებულებების არაშესაბამისად.

9.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ მათი ცენტრალური სამთავრობო ორგანოები ეყრდნობოდნენ შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო და რეგიონულ სისგემებს, თუკი, ეს სისგემები შესაბამისობაშია მე-5 და მე-6 მუხლების დებულებებთან.

ინფორმაცია და დახმარება

მუხლი 10

ინფორმაცია გექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შესახებ

10.1. მსო-ს თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საინფორმაციო ცენტრის არსებობა, რომელსაც შეეძლება პასუხი გასცეს მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოებისა და მათი დაინტერესებული მხარეების ყველა დასაბუთებულ თხოვნას, აგრეთვე, მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება :

10.1.1. ნებისმიერ გექნიკურ რეგლამენტს, რომელიც მიღებულია ან შემუშავების სტადიაშია მის გერიგორიაზე არსებული ცენტრალური ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების, არასამთავრობო ორგანოების მიერ, რომელთაც გააჩნიათ გექნიკური რეგლამენტის შემოღების კანონიერი უფლება, ან სტანდარტიზაციის იმ რეგიონული ორგანოების მიერ, რომელთა წევრები ან მონაწილეები არიან ასეთი ორგანოები;

10.1.2. ნებისმიერ სტანდარტს, რომელიც მიღებულია ან შემუშავების სტადიაშია მის გერიგორიაზე არსებული ცენტრალური ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების ან სტანდარტიზაციის იმ რეგიონული ორგანოების მიერ, რომელთა წევრები ან მონაწილეები არიან ასეთი ორგანოები;

10.1.3. შესაბამისობის შეფასების ნებისმიერ პროცედურას ან შესაბამისობის შეფასების შემუშავების სტადიაში მყოფ ნებისმიერ პროცედურას, რომლებიც მუშავდება მის გერიგორიაზე არსებული ცენტრალური ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების, არასამთავრობო ორგანოების მიერ, რომელთაც გააჩნიათ გექნიკური რეგლამენტის შემოღების კანონიერი უფლება, ან სტანდარტიზაციის იმ რეგიონული ორგანოების მიერ, რომელთა წევრები ან მონაწილეები არიან ასეთი ორგანოები;

10.1.4. მსო-ს წევრი სახელმწიფოების ან მათ გერიგორიებზე არსებული შესაბამისი ცენტრალური ან ადგილობრივი სამთავრობო ორგანოების წევრობას და მონაწილეობას სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების სისგემის საერთაშორისო და რეგიონული ორგანოებში, აგრეთვე, წინამდებარე შეთანხმების ჩარჩოებში არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში; მათ, აგრეთვე, უნდა გააჩნდეთ ამდაგვარი სისგემებისა და ხელშეკრულებების პირობების შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

10.1.5. შეგყობინების წყაროებს, რომელთა გამოქვეყნება ხდება წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, ან ინფორმაციის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ სად შეიძლება იქნეს მიღებულ ამდაგვარი ინფორმაცია; და

10.1.6. მე-3 პუნქტში მითითებული საინფორმაციო ცენტრების ადგილმდებარეობას.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მსო-ს წევრი სახელმწიფო სამართლებრივი თუ

ადმინისტრაციული მიზნებით ქმნის ერთზე მეტ საინფორმაციო ცენტრს, მაშინ იგი ვალდებულია მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაწოდოს სრული და ნათელი ინფორმაცია თითოეული ამ საინფორმაციო ცენტრის პასუხისმგებლობის სფეროს შესახებ. გარდა ამისა, მსო-ს ეს წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც მისულია არაშესაბამის საინფორმაციო ცენტრში, შეუფერხებლად გადაეცეს სათანადო საინფორმაციო ცენტრს.

10.3. მსო-ს თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს მისთვის ხელმისაწვდომი მიზანშეწონილი ზომები, რათა შექმნილ ერთ ან რამდენიმე საინფორმაციო ცენტრს ჰქონდეს უნარი უპასუხოს მსო-ს წევრი სახელმწიფოების და მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების დაინტერესებული მხარეების ყველა საფუძვლიან მოთხოვნას, აგრეთვე, უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციით ან ინფორმაციით, თუ სად შეიძლება მოპოვებულ იქნეს საჭირო დოკუმენტები, რომლებიც ეხება :

10.3.1. ნებისმიერ სტანდარტს, რომელიც მიღებულია ან მუშავდება მათ გერიგორიაზე არსებული სტანდარტიზაციის არასამთავრობო ორგანოების ან სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანოების მიერ, რომელთა წევრები ან მონაწილეებიც არიან შემოსხსენებული ორგანოები; და

10.3.2. ნებისმიერ შესაბამისობის შეფასების პროცედურას ან შემუშავების სტადიაში მყოფ შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლებსაც ახორციელებს მათ გერიგორიაზე არსებული სტანდარტიზაციის არასამთავრობო ორგანოები ან სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანოები, რომელთა წევრები ან მონაწილეებიც არიან შემოსხსენებული ორგანოები;

10.3.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოების ან მათ გერიგორიებზე არსებული შესაბამისი არასამთავრობო ორგანოების წევრობას და მონაწილეობას სტანდარტიზაციის და შესაბამისობის შეფასების სისტემის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანოებში, აგრეთვე, წინამდებარე შეთანხმების ჩარჩოებში არსებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებში; მათ აგრეთვე უნდა გააჩნდეთ ამდაგვარი სისტემებისა და ხელშეკრულებების პირობების შესახებ დასაბუთებული ინფორმაციის უზრუნველყოფის შესაძლებლობა;

10.4. იმ შემთხვევაში, როდესაც მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოები ან მათი დაინტერესებული მხარეები, წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად მოითხოვენ დოკუმენტთა ასლებს, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი მიზანშეწონილი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მათთვის შემოსხსენებული დოკუმენტების გადაცემას თანაბარი ფასით (თუკი, ასეთი საერთოდ არსებობს), რომელიც მიწოდების ხარჯების გამოკლებით, იქნება ისეთივე, როგორც მათი ან მსო-ს ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის*.

10.5. მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების მოთხოვნისამებრ, მსო-ს განვითარებული წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიაწოდონ მათ გარკვეულ შეფასებებთან დაკავშირებული დოკუმენტების თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე ან იმ შემთხვევაში, როდესაც დოკუმენტის მოცულობა დიდია, მათი მოკლე შინაარსი შემოსხსენებულ ენებზე.

10.6. სამდივნო ვალდებულია, როგორც კი მიიღებს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ შეფასებებს, მსო-ს ყველა წევრ სახელმწიფოსა და სტანდარტიზაციისა და შესაბამისობის შეფასების დაინტერესებულ საერთაშორისო ორგანოებში გაავრცელოს მათი ასლები, თან მსო-ს წევრი განვითარებადი

სახელმწიფოების ყურადღება უნდა გაამახვილოს ნებისმიერ შეგყობინებაზე, რომელიც ეხება მათი განსაკუთრებული ინტერესის მქონე საქონელს.

10.7. როდესაც მსო-ს წევრი სახელმწიფო ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან ხელშეკრულებას აღწევს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება იმ ტექნიკურ რეგლამენტებს, სტანდარტებს ან შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი გეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ვაჭრობაზე, მაშინ ასეთი შეთანხმების მონაწილე მსო-ს ერთი სახელმწიფო მაინც ვალდებულია, მსო-ს სამდივნოს მეშვეობით, მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს აცნობოს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მყოფი პროდუქცია და თან დაურთოს შეგყობინება წინამდებარე ხელშეკრულების მოკლე დახასიათებით. მსო-ს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლევათ, მოთხოვნის საფუძველზე, ჩაერთონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებთან კონსულტაციებში, რათა დადებულ იქნეს მსგავსი ხელშეკრულებები ან მიაღწიონ თანხმობას მათ მონაწილეობაზე მსგავს ხელშეკრულებებში.

10.8. წინამდებარე შეთანხმებაში არაფერი არ შეიძლება იქნეს განმარტებული, როგორც მოთხოვნა :

10.8.1. ტექსტების სხვა ენაზე გამოქვეყნებისა, გარდა მსო-ს წევრი სახელმწიფოს ენაზე;

10.8.2. დოკუმენტების პროექტების ცალკეული ნაწილების ან მთელი ასლის სხვა ენაზე წარდგენა, გარდა მსო-ს წევრი სახელმწიფოს ენაზე, მე-5 პუნქტში აღწერილი სიტუაციების გამოკლებით; ან

10.8.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ ნებისმიერი ინფორმაციის წარდგენა, რომელთა გამჟღავნებას ისინი განიხილავენ, როგორც უსაფრთხოების არსებითი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად.

10.9. სამდივნოში გაგზავნილი შეგყობინებები უნდა იყოს ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენებზე.

10.10. მსო-ს წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ ცენტრალური სამთავრობო უწყება, რომელიც პასუხისმგებელია წინამდებარე შეთანხმების დებულებებით განსაზღვრული შეგყობინების პროცედურების ეროვნულ დონეზე შესრულებაზე, გარდა იმ პროცედურებისა, რომლებიც მოყვანილია დანართ 3-ში.

10.11. იმ შემთხვევაში, თუ მსო-ს წევრი სახელმწიფო სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული მიზეზებით შეგყობინების პროცედურაზე პასუხისმგებლობას ანაწილებს ორ ან მეტ ცენტრალურ სამთავრობო უწყებას შორის, მაშინ იგი ვალდებულია მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს მიაწოდოს სრული და ნათელი ინფორმაცია თითოეული ამ უწყების პასუხისმგებლობის სფეროს შესახებ.

მუხლი 11

ტექნიკური დახმარება სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის

11.1. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მოთხოვნის შემთხვევაში მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს გაუწიონ კონსულტაციები ტექნიკური რეგლამენტების მომზადების მიმართებით.

11.2. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოთხოვნის შემთხვევაში, კონსულტაციები გაუწიონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით, მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ტექნიკური დახმარება გაუწიონ მათ, სტანდარტიზაციის ეროვნული ორგანოების შექმნასა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოებში მონაწილეობასთან მიმართებით, აგრეთვე, ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მათ სტანდარტიზაციის ეროვნულ ორგანოებს, რათა იმოქმედონ მათ მსგავსად.

11.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ზომები, რათა მათ ტერიტორიაზე მყოფმა მარეგულირებელმა ორგანოებმა კონსულტაციები გაუწიონ მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოების და განსაკუთრებით, მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, გაუწიონ მათ ტექნიკური დახმარება, რომელიც შეეხება :

11.3.1. მარეგულირებელი ორგანოების ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის შეფასების ორგანოების შექმნას; და

11.3.2. მეთოდებს, რომლებითაც მათი ტექნიკური რეგლამენტები საუკეთესოდ იქნება დაკმაყოფილებული.

11.4. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ისეთი მიზანშეწონილი ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მსო-ს სხვა წევრი სახელმწიფოებისათვის და განსაკუთრებით, მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოებისათვის კონსულტაციების გაწევას და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვალდებულნი არიან გაუწიონ მათ ტექნიკური დახმარება მოთხოვნის გამკეთებელი მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ორგანოების შექმნაში.

11.5. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან კონსულტაციები გაუწიონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვალდებულნი არიან ტექნიკური დახმარება გაუწიონ იმ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა იქნეს მიღებული მათი პროდუქციის მწარმოებელთა მიერ, რათა მათთვის ხელმისაწვდომი იყოს, მოთხოვნის მიმღები მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოების მიერ მართვადი შესაბამისობის შეფასების სისტემები.

11.6. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, რომლებიც არიან შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო ან რეგიონული სისტემების წევრები ან მონაწილეები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან კონსულტაციები გაუწიონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით, მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ვალდებულნი არიან ტექნიკური დახმარება გაუწიონ მათ იმ უწყებებისა და სამართლებრივი ჩარჩოების შექმნაში, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ შეესრულებინათ ასეთი სისტემების წევრობიდან ან მონაწილეობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

11.7. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მათ ტერიტორიაზე არსებულ ორგანოებს, რომლებიც არიან შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო ან რეგიონული სისტემების წევრები ან მონაწილეები, რათა კონსულტაციები გაუწიონ მსო-ს სხვა წევრ სახელმწიფოებს და განსაკუთრებით, მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს და ვალდებულნი არიან განიხილონ მათგან მიღებული მოთხოვნები, რომლებიც შეეხება მათთვის ტექნიკურ დახმარებას იმ უწყებების შექმნაში, რომლებიც საშუალებას მისცემდა მათ ტერიტორიაზე არსებულ ორგანოებს შეესრულებინათ წევრობიდან ან

მონაწილეობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

11.8. 1-7 პუნქტებში გათვალისწინებული კონსულტაციებისა და ტექნიკური დახმარების გაწევისას, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან პრიორიტეტი მიანიჭონ მსო-ს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.

მუხლი 12

განვითარებადი წევრი სახელმწიფოებისათვის
სპეციალური და განსხვავებული რეჟიმი

12.1. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოებისათვის უზრუნველყონ განსხვავებული და უფრო ხელშემწყობი რეჟიმი, შემდეგი დებულებებისა და წინამდებარე შეთანხმების სხვა მუხლების შესაბამისი დებულებების შესრულების გზით.

12.2. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წინამდებარე შეთანხმების იმ დებულებებს, რომლებიც ეხება მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების უფლებებსა და ვალდებულებებს, წინამდებარე შეთანხმების ეროვნულ დონემე შესრულებისას და მისი ინსტიტუციონალური მექანიზმების ფუნქციონირებისას, გაითვალისწინონ მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების განვითარების დონე და მათი განსაკუთრებული ფინანსური და სავაჭრო საჭიროებები.

12.3. მსო-ს წევრი სახელმწიფოები, ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტების და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებისა და გამოყენების პროცესში, ვალდებული არიან გაითვალისწინონ განვითარებისათვის გამიზნული სპეციალური მოთხოვნები, აგრეთვე, მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული ფინანსური და სავაჭრო საჭიროებები, რათა ასეთმა ტექნიკურმა რეგლამენტებმა, სტანდარტებმა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებმა ზედმეტი დაბრკოლებები არ შეუქმნან მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების ექსპორტს.

12.4. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს საერთაშორისო სტანდარტები, სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები, მსო-ს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ განსაკუთრებულ ტექნოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი მსო-ს წევრი განვითარებადი სახელმწიფოები იღებენ ზოგიერთ ისეთ ტექნიკურ რეგლამენტს, სტანდარტს ან შესაბამისობის შეფასების პროცედურას, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი ტექნოლოგიების და წარმოების მეთოდებისა და პროცესის დაცვისაკენ და რომლებიც პასუხობს მათი განვითარების მოთხოვნებს. ამიტომ, მსო-ს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოებისაგან არ არის მოსალოდნელი მათი ტექნიკური რეგლამენტების ან სტანდარტების საფუძვლად საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, იმ ცდების მეთოდების ჩათვლით, რომლებიც არ პასუხობს ამ სახელმწიფოების განვითარების, ფინანსურ და სავაჭრო მოთხოვნებს.

12.5. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოებისა და შესაბამისობის შეფასების საერთაშორისო სისტემების ისეთ მოქმედებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსო-ს ყველა სახელმწიფოში შესაბამისი ორგანოების აქტიურ და წარმომადგენლობით მონაწილეობას, ამასთანავე, გათვალისწინებული იქნება მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების

განსაკუთრებული პრობლემები.

12.6. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ მათთვის ხელმისაწვდომი ზომები, რათა უზრუნველყონ, რომ მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების მოთხოვნის შემთხვევაში, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოებმა განიხილონ შესაძლებლობა და თუკი ხელმისაწვდომია, მოამზადონ საერთაშორისო სტანდარტები იმ პროდუქციასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებულ ინტერესს.

12.7. მე-11 მუხლის დებულებების შესაბამისად, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან ტექნიკური დახმარება გაუწიონ მსო-ს განვითარებად წევრ სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ის, რომ ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავება და გამოყენება არ უქმნიდეს ზედმეტ დაბრკოლებებს მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების ექსპორტის მოცულობისა და საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნების გაზრდას. ტექნიკური დახმარების პირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოთხოვნის გამკეთებელი მსო-ს წევრი და განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების განვითარების ღონე.

12.8. აღიარებულია, რომ ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებასა და გამოყენებაში, მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოები შეიძლება წააწყდნენ განსაკუთრებულ პირობებს, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების ჩათვლით. გარდა ამისა, აღიარებულია, რომ მსო-ს განვითარებადი წევრი სახელმწიფოების განვითარებისა და ვაჭრობის განსაკუთრებულმა მოთხოვნებმა, აგრეთვე, მათმა ტექნოლოგიური განვითარების ღონემ, შეიძლება ხელი შეუშალოს მათ მიერ წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებას. ამიგომ, მსო-ს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან სრულად გაითვალისწინონ ეს გარემოება. ამრიგად, იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მსო-ს წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესრულების შესაძლებლობა, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების კომიტეტს, რომელიც მოხსენიებულია მე-13 მუხლში (წინამდებარე შეთანხმებაში მოხსენიებული, როგორც 'კომიტეტი'), ნება ეძლევა მოთხოვნის შემთხვევაში, ნება დართოს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან კონკრეტული და განსაზღვრულვადიანი, მთლიანი ან ნაწილობრივი გამონაკლისების გაკეთებაზე. ამდაგვარი მოთხოვნების განხილვისას, კომიტეტი ვალდებულია გაითვალისწინოს მსო-ს მოცემული განვითარებადი წევრი სახელმწიფოს ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებისა და გამოყენებისას არსებული განსაკუთრებული პრობლემები და განვითარებისა და ვაჭრობის განსაკუთრებული მოთხოვნები, აგრეთვე, მისი ტექნოლოგიური განვითარების ღონე, რაც შეიძლება ხელს უშლიდეს წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებას. კომიტეტი, უპირველესყოფლისა, ვალდებულია გაითვალისწინოს მსო-ს ნაკლებად განვითარებული წევრი სახელმწიფოების განსაკუთრებული პრობლემები.

12.9. კონსულტაციების მსვლელობისას, მსო-ს განვითარებული წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ის სიძნელებები, რომლებსაც მსო-ს

განვითარებადი წვერი სახელმწიფოები განიცდიან სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და შესაბამისობის შეფასების პროცედურების შემუშავებისა და გამოყენებისას და თავიანთ სურვილში დახმარება გაუწიონ მსო-ს განვითარებად წვერ სახელმწიფოებს შესაბამის ძალისხმევაში, მსო-ს განვითარებული წვერი სახელმწიფოები ითვალისწინებენ მსო-ს განვითარებადი წვერი სახელმწიფოების ფინანსირებასთან, ვაჭრობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საჭიროებებს.

12.10. კომიტეტი ვალდებულია პერიოდულად განიხილოს მსო-ს განვითარებადი წვერი სახელმწიფოებისათვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მინიჭებული განსაკუთრებული და დიფერენცირებული რეჟიმი, როგორც ეს დადგენილია წინამდებარე შეთანხმებაში.

ინსტიტუციონალური ორგანოები, კონსულტაციები და დავეების მოგვარება

მუხლი 13

ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების კომიტეტი

13.1. ამერიიდან იქმნება ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების კომიტეტი, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს მსო-ს ყველა წვერი სახელმწიფოს წარმომადგენლებით. კომიტეტი ვალდებულია აირჩიოს თავისი თავმჯდომარე და შეიკრიბოს საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთი შეკრებისა, რათა მსო-ს წვერ სახელმწიფოებს მისცეს კონსულტაციების გამართვის საშუალება ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება წინამდებარე შეთანხმების ფუნქციონირებას ან მისი მიზნების შემდგომ განვითარებას, აგრეთვე იმ ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომლებიც განსაზღვრულია მისთვის წინამდებარე შეთანხმებით ან მსო-ს წვერი სახელმწიფოების მიერ.

13.2. აუცილებლობის შემთხვევაში, კომიტეტი ვალდებულია დააარსოს მუშა ჯგუფები ან სხვა ორგანოები იმ ვალდებულებათა შესრულების მიზნით, რომლებიც მათ შეიძლება დაავალოს კომიტეტმა წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისად.

13.3. მიღებულია, რომ წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში სამუშაოებისა და სხვა ტექნიკურ ორგანოებში მთავრობათა საქმიანობების არასაჭირო დაბლირება თავიდან უნდა იქნეს აცილებული. კომიტეტი ვალდებულია შეისწავლოს ეს პრობლემა, აღნიშნული დაბლირების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

მუხლი 14

კონსულტაციები და დავეების მოგვარება

14.1. ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული კონსულტაციები და დავეების მოგვარება, რომელიც გემოქმედებას ახდენს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე, უნდა ხორციელდებოდეს დავეების მოგვარების ორგანოს ეგიდით და მუგაგის მუგანდის უნდა მისდევდეს 1994 წლის გატის XXII და XXIII მუხლების დებულებებს, რომლებიც შემუშავებულია და გამოიყენება დავეების მოგვარების შესახებ შეთანხმების მიხედვით.

14.2. დავეების განხილვაზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფს, ერთ-ერთი მოდავე მხარის თხოვნის საფუძველზე, ან თავისი ინიციატივით, შეუძლია შექმნას ტექნიკური საექსპერტო ჯგუფი იმ ტექნიკური ხასიათის საკითხებზე დახმარების მიზნით,

რომლებიც მოითხოვს ექსპერტთა მიერ დეტალურ შესწავლას.

14.3. ტექნიკური საექსპერტო ჯგუფები უნდა ხელმძღვანელობდნენ დანართ 2-ის პროცედურებით.

14.4. დავების მოგვარების შემოსენებული დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებში, როდესაც მსო-ს წევრი სახელმწიფო თვლის, რომ მსო-ს სხვა წევრმა სახელმწიფომ ვერ მიაღწია დამაკმაყოფილებელ შედეგებს მე-3, მე-4, მე-7, მე-8 და მე-9 მუხლებთან დაკავშირებით და მისი სავაჭრო ინტერესები განიცდის მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ამ შემთხვევაში არსებული შედეგები განხილულ უნდა იქნეს ისევე, როგორც ეს მოხდებოდა მაშინ, როდესაც ორგანო, რომელმაც ვსაუბრობთ იქნებოდა მსო-ს წევრი სახელმწიფო.

მუხლი 15

დასკვნითი დებულებები

დათქმები

15.1. წინამდებარე შეთანხმების ნებისმიერ დებულებასთან დაკავშირებული დათქმები არ შეიძლება გაკეთდეს, მსო-ს სხვა დანარჩენი წევრი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე.

განხილვა

15.2. მსო-ს თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია იმ დღიდან, როდესაც მისთვის ძალაში შევა მსო-ს შეთანხმება, აცნობოს კომიტეტს არსებული ან დაგეგმილი ზომების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს წინამდებარე შეთანხმების გამოყენება და მოქმედება. ამის შემდეგ იგი ვალდებულია აცნობოს ამდაგვარ ზომებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემდგომი ცვლილება.

15.3. კომიტეტი ვალდებულია ყოველწლიურად განიხილოს წინამდებარე შეთანხმების შესრულება და ფუნქციონირება, მისი მიზნების გათვალისწინებით.

15.4. მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მესამე წლის ბოლოს და ყოველი შემდგომი სამწლიანი პერიოდის დასრულების ბოლოს, კომიტეტი ვალდებულია განიხილოს წინამდებარე შეთანხმების შესრულება და ფუნქციონირება გამჭვირვალეობასთან დაკავშირებული დებულებების ჩათვლით, შეთანხმებაში სადაც ეს საჭიროა, უფლებებსა და ვალდებულებებში რეკომენდაციებისა და შესწორებების მომზადების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ურთიერთეკონომიკური მოგება და უფლებებისა და ვალდებულებების ბალანსი მე-12 მუხლის დებულებების შეუმღუდავად. გამოცდილების, კერძოდ კი, წინამდებარე შეთანხმების შესრულების შედეგად დაგროვილი პრაქტიკის გათვალისწინებით, კომიტეტი ვალდებულია, თუკი ეს მიზანშეწონილია, წინამდებარე შეთანხმების ტექსტში ცვლილებების შეგანაზღვე წინადადება მიაწოდოს საქონლით ვაჭრობის საბჭოს.

დანართები

15.5. წინამდებარე შეთანხმების დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

დანართი 1

გერმინები და მათი განსაზღვრებები წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის

გერმინებს, რომლებიც მოყვანილია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO, ისო)/საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (IEC, იეკი) სახელმძღვანელო 2-ის მე-6 გამოცემაში, 1991, „საერთო გერმინები და მათი განსაზღვრებები, რომელიც შეეხება სტანდარტიზაციას და ამ სფეროში საქმიანობას“, წინამდებარე შეთანხმებაში ხმარებისას აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც შემოსენებულ სახელმძღვანელოს განსაზღვრებებში, იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების სფერო ამოღებულია წინამდებარე შეთანხმების ფარგლებიდან. მიუხედავად ამისა, წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი განსაზღვრებები :

1. გექნიკური რეგლამენტი

ლოკუმენტი, რომელიც აღგენს პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული წარმოების პროცესებისა და მეთოდების, ამასთან ერთად გამოსაყენებელი იმ აღმინისგრაფიული დებულებების დახასიათებას, რომელთა დაცვაც არის სავალდებულო. ის, აგრეთვე, შეიძლება შედიოდეს ან მხოლოდ შეიცავდეს გერმინოლოგიასთან, აღნიშვნებთან, შეფუთვისთან, მარკირებასთან ან ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქციასთან, წარმოების პროცესთან ან მეთოდთან მიმართებაში.

განმარტებითი შენიშვნა

ისო/იეკის სახელმძღვანელო 2-ში მოყვანილი განსაზღვრება არ არის დამოუკიდებელი, არამედ ეყრდნობა ეგრეთწოდებულ 'საამშენებლო ბლოკის' სისტემას.

2. სტანდარტი

ლოკუმენტი, რომელსაც ამტკიცებს კომპეტენტური ორგანო, მოიცავს საზოგადო და მრავალჯერადი ხმარების წესებს, დირექტივებს, ან პროდუქციის ან მასთან დაკავშირებული წარმოების პროცესებისა და მეთოდების დახასიათებებს, რომელთა დაცვაც არ არის სავალდებულო. ის აგრეთვე შეიძლება შედიოდეს ან მხოლოდ შეიცავდეს გერმინოლოგიასთან, აღნიშვნებთან, შეფუთვისთან, მარკირებასთან ან ეტიკეტირებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქციასთან, წარმოების პროცესთან ან მეთოდთან მიმართებაში.

განმარტებითი შენიშვნა

გერმინები, რომელთა განსაზღვრება მოყვანილია ისო/იეკის სახელმძღვანელო 2-ში, ეხება პროდუქციას, პროცესებსა და მომსახურებას. წინამდებარე შეთანხმება ეხება მხოლოდ იმ გექნიკურ რეგლამენტებს, სტანდარტებსა და შესაბამისობის შეფასების პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება პროდუქციასთან, წარმოების პროცესთან ან მეთოდთან მიმართებაში. სტანდარტები, ისო/იეკის სახელმძღვანელო 2-ის შესაბამისად შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის სტანდარტები განისაზღვრება როგორც ნებაყოფლობითი, ხოლო გექნიკური რეგლამენტები როგორც სავალდებულო დოკუმენტები. სტანდარტიზაციის საერთაშორისო გაერთიანების მიერ შემუშავებული სტანდარტები დაფუძნებულია კონსენსუსზე. წინამდებარე შეთანხმება მოიცავს აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც არ ეფუძნება კონსენსუსის პრინციპს.

3. შესაბამისობის შეფასების პროცედურა

ნებისმიერი პროცედურა, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გამოიყენება იმის დასადგენად სრულდება თუ არა ტექნიკური რეგლამენტებით ან სტანდარტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

განმარტებითი შენიშვნა

შესაბამისობის შეფასების პროცედურები მოიცავენ, კერძოდ, სინჯების აღების პროცედურებს, გამოცდებსა და ინსპექტირებას; შესაბამისობის შეფასებას, შემოწმებასა და დადასტურებას; რეგისტრაციას, აკრედიტაციასა და თანხმობას, აგრეთვე მათ ვარიაციებს.

4. საერთაშორისო ორგანო ან სისტემა

ორგანო ან სისტემა, რომლის წევრობაც ღიაა უკიდურეს შემთხვევაში მსო-ს ყველა წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებისათვის.

5. რეგიონული ორგანო ან სისტემა

ორგანო ან სისტემა, რომლის წევრობაც ღიაა მხოლოდ მსო-ს ცალკეული წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ორგანოებისათვის.

6. ცენტრალური სამთავრობო ორგანო

ცენტრალური ხელისუფლება, მისი სამინისტროები და დეპარტამენტები ან ნებისმიერი ორგანო, რომელიც აღნიშნული სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებით იმყოფება ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში.

განმარტებითი შენიშვნა

ევროგაერთიანებების შემთხვევაში გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი დებულებები. მიუხედავად ამისა, ევროგაერთიანებების ფარგლებში შესაძლებელია იქნეს შექმნილი შესაბამისობის შეფასების რეგიონული ორგანოები ან სისტემები. ამ შემთხვევებში ისინი ვალდებული იქნებიან დაიცვან წინამდებარე შეთანხმების შესაბამისობის შეფასების რეგიონული ორგანოების ან სისტემების შესახებ დებულებები.

7. ადგილობრივი სამთავრობო ორგანო

ხელისუფლება, რომელიც არ არის ცენტრალური ხელისუფლება (ასე მაგალითად შტატი, პროვინცია, მიწა, კანტონი, მუნიციპალიტეტი და სხვა), მათი სამინისტროები და დეპარტამენტები ან ნებისმიერი ორგანო, რომელიც აღნიშნული სფეროს საქმიანობასთან დაკავშირებით იმყოფება ასეთი ხელისუფლების დაქვემდებარებაში.

8. არასამთავრობო ორგანო

ორგანო, რომელიც არ არის ცენტრალური ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების დაქვემდებარებაში, იმ არასამთავრობო ორგანოს ჩათვლით, რომელსაც აქვს ტექნიკური რეგლამენტის განხორციელების კანონიერი უფლება.

დანართი 2

ტექნიკური საექსპერტო ჯგუფები

ტექნიკური საექსპერტო ჯგუფების მიმართ, რომელთა ჩამოყალიბება ხდება მე-14 მუხლის დებულებების შესაბამისად, გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი პროცედურები.

1. ტექნიკური საექსპერტო ჯგუფები იმყოფებიან დავების მოგვარების ექსპერტთა ჯგუფის დაქვემდებარებაში. მათი უფლებამოსილება და დეტალური სამუშაო პროცედურები უნდა განისაზღვროს დავების მოგვარების ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ისინი ვალდებული არიან ანგარიში ჩააბარონ დავების მოგვარების ექსპერტთა ჯგუფს.
2. ტექნიკურ საექსპერტო ჯგუფში მონაწილეობა უნდა შემოიფარგლოს განსახილველ სფეროში პროფესიული რეპუტაციისა და გამოცდილების მქონე პირებით.
3. დავაში მყოფი ქვეყნების მოქალაქეები არ შეიძლება წარმოდგენილ იქნენ ტექნიკურ საექსპერტო ჯგუფში მოდავე მხარეების საერთო შეთანხმების გარეშე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც დავების მოგვარების ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სხვა შემთხვევაში სპეციალური სამეცნიერო ექსპერტიზის მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული. დავის მქონე ქვეყნების ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები არ შეიძლება იყვნენ ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის წევრები. ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის წევრები ვალდებული არიან იმოქმედონ, როგორც კერძო პირებმა და არა როგორც ხელისუფლების ან რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ამიგომ, მთავრობებმა ან ორგანიზაციებმა არ უნდა მისცენ მათ დავალებები ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
4. ტექნიკურ საექსპერტო ჯგუფებს შეუძლიათ გამართონ კონსულტაციები და ინფორმაციისა და ტექნიკური რჩევის მისაღებად მიმართონ ნებისმიერ წყაროს, რომელსაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ. მსო-ს წევრი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფი წყაროს მიმართ ინფორმაციის ან რჩევის მიღების მიმართვაში, ტექნიკური საექსპერტო ჯგუფი ვალდებულია აცნობოს მსო-ს მოცემული წევრი სახელმწიფოს მთავრობას. მსო-ს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო ვალდებულია დაუყოვნებლივ და სრულად უპასუხოს ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის ნებისმიერ მოთხოვნას იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულ ტექნიკურ საექსპერტო ჯგუფს მიაჩნია აუცილებლად და მიზანშეწონილად.
5. მოდავე მხარეებს უნდა ჰქონდეთ ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის მიმართ წარდგენილი შესაბამისი ინფორმაციის სრული გაცნობის უფლება, თუკი, იგი არა არის კონფიდენციალური. ტექნიკური საექსპერტო ჯგუფის მიმართ წარდგენილი კონფიდენციალური ინფორმაცია არ შეიძლება იქნეს გამჟღავნებული, მისი მიმწოდებელი მთავრობის, ორგანიზაციის და პირის ნებართვის გარეშე. იმ შემთხვევებში, როდესაც ტექნიკურ საექსპერტო ჯგუფს თხოვენ ასეთ ინფორმაციას და მას არა აქვს ამ ინფორმაციის გადაცემის უფლებას, ინფორმაციის წარმდგენი მთავრობის, ორგანიზაციის ან პირის მიერ უნდა მომზადდეს აღნიშნული ინფორმაციის მოკლე არაკონფიდენციალური შინაარი.
6. ტექნიკური საექსპერტო ჯგუფი ვალდებულია ანგარიშის პროექტი წარუდგინოს მსო-ს შესაბამის წევრ სახელმწიფოებს, რათა მიღებული იქნას შენიშვნები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, უნდა იქნას გათვალისწინებული საბოლოო ანგარიშში, რომელიც წარედგინება დავების მოგვარების ექსპერტთა ჯგუფს და ამასთანავე, ეგზავნება მსო-ს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს.

დანართი 3

სგანდარგების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი

ზოგადი დებულებები

A. ამ კოდექსის მიზნებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს წინამდებარე შეთანხმების დანართ 1-ში მოცემული განსაზღვრებები.

B. წინამდებარე კოდექსი ღიაა მსო-ს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე არსებული სტანდარტიზაციის ნებისმიერი ორგანოსათვის, მიუხედავად იმისა, იგი წარმოადგენს ცენტრალურ სამთავრობო ორგანოს, ადგილობრივ სამთავრობო ორგანოს თუ არასამთავრობო ორგანოს; სტანდარტიზაციის ნებისმიერი სამთავრობო რეგიონული ორგანოსათვის, რომლის ერთი ან მეტი წევრი არის მსო-ს წევრი სახელმწიფო, სტანდარტიზაციის ნებისმიერი არასამთავრობო რეგიონული ორგანოსათვის, რომლის ერთი ან მეტი წევრი არის მსო-ს წევრი სახელმწიფო, სტანდარტიზაციის ნებისმიერი არასამთავრობო რეგიონული ორგანოსათვის, რომლის ერთი ან მეტი წევრი განლაგებულია მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (წინამდებარე კოდექსში აღნიშნული კოლექტიურად როგორც – 'სტანდარტიზაციის ორგანოები', ხოლო ინდივიდუალურად როგორც 'სტანდარტიზაციის ორგანო').

C. სტანდარტიზაციის ორგანოები, რომლებიც მიიღებენ ან უარყოფენ წინამდებარე კოდექსს, ვალდებული არიან შეაყვებიან ამის შესახებ სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის (ისო/იეკი) საინფორმაციო ცენტრს ქენევაში. შეგყვებიან ან აღნიშნული უნდა იყოს შესაბამისი ორგანოს დასახელება და მისამართი და სტანდარტიზაციის საქმიანობებში, მისი მიმდინარე და მოსალოდნელი საქმიანობების სფერო. აღნიშნული შეგყვებიანა შეიძლება პირდაპირ იქნეს გაგზავნილი ისო/იეკის საინფორმაციო ცენტრში, ან იმ ცენტრალური სამთავრობო ორგანოს მეშვეობით, რომელიც არის ისო/იეკის წევრი, ან უმჯობესია, შესაბამისი ეროვნული წევრის ან ისო/იეკის (საინფორმაციო ქსელი, რომელიც ისო/იეკის საინფორმაციო ცენტრს ქენევაში აკავშირებს შესაბამის ეროვნულ ცენტრებთან) საერთაშორისო ფილიალის მეშვეობით.

ძირითადი დებულებები

D. სტანდარტებთან მიმართებაში, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია მსო-ს ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქციას მიანიჭოს არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე ეს მინიჭებული აქვს ეროვნული წარმოშობის მსგავს პროდუქციას ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილ პროდუქციას.

E. სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სტანდარტების შემუშავება, მიღება და გამოყენება არ ხდებოდეს იმ სახით, რომ შექმნას ან საშუალება ჰქონდეს საერთაშორისო ვაჭრობაში ბედმეტი დაბრკოლებების შექმნისა.

F. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს საერთაშორისო სტანდარტები ან დასრულების სტადიაშია მათი შემუშავება, მსო-ს წევრი ქვეყნები ვალდებული არიან თავიანთი სტანდარტების შემუშავებისას, საფუძვლად გამოიყენონ ისინი ან მათი შესაბამისი ნაწილები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები ან მათი შესაბამისი ნაწილები არ იქნება ეფექტური ან არ იქნება შესაფერისი საშუალება კანონიერი მიზნების მისაღწევად, მაგალითად მნიშვნელოვანი კლიმატური ან გეოგრაფიული ფაქტორების, ან მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პრობლემების არსებობისას.

G. სტანდარტების შექმნისდაგვარად ფართო ჰარმონიზაციის მიზნით, სტანდარტიზაციის ორგანომ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, სრულფასოვანი

მონაწილეობა უნდა მიიღოს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების მიერ იმ საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებაში, რომლებიც მას მიღებული აქვს, ან აპირებს მათ მიღებას. მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული სტანდარტიზაციის ორგანოს საერთაშორისო სტანდარტიზაციის კონკრეტულ საქმიანობაში მონაწილეობა უნდა ხორციელდებოდეს ერთი დელეგაციის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებულ სტანდარტიზაციის ყველა ორგანოს, რომლებმაც მიიღეს ან აპირებენ სტანდარტების მიღებას იმ კონკრეტულ სფეროში, რომელშიც მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტიზაციის საქმიანობა.

ნ. მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული სტანდარტიზაციის ორგანომ უნდა განახორციელოს ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ეროვნულ ტერიტორიებზე არსებული სტანდარტიზაციის ორგანოების ან სტანდარტიზაციის შესაბამის საერთაშორისო ან რეგიონული ორგანოების საქმიანობასთან დუბლირება ან ნაწილობრივი დამთხვევა. ისინი, აგრეთვე, ვალდებული არიან მიისწრაფვოდნენ, მათ მიერ შემუშავებულ სტანდარტებთან მიმართებით, ეროვნული კონსენსუსის მიღწევისაკენ. ასეთივე წესით სტანდარტიზაციის რეგიონული ორგანოც ვალდებულია მიისწრაფვოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანოების საქმიანობასთან დუბლირება ან ნაწილობრივი დამთხვევა.

ი. იქ სადაც ეს შესაძლებელია, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია სტანდარტები შეიმუშაოს პროდუქციის საექსპლუატაციო ხასიათის მოთხოვნების საფუძველზე და არა პროდუქციის დიზაინისა და გარეგნული თვისებების მიხედვით.

კ. უკიდურეს შემთხვევაში, ექვს თვეში ერთხელ, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს სამუშაო პროგრამა თავისი დასახელებისა და მისამართის მითითებით, იმ პერიოდისათვის შემუშავების სტადიაში მყოფი სტანდარტები და ამასთანავე, წინა პერიოდში შემუშავებული სტანდარტები. სტანდარტი მუშავდება მის შემუშავებაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან მის მიღებამდე. განსაზღვრული სტანდარტების პროექტების დასახელება, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა ქვეყნდებოდეს ინგლისურ, ფრანგულ ან ესპანურ ენებზე. სამუშაო პროგრამის არსებობის შესახებ შეგყობინება უნდა გამოქვეყნდეს სტანდარტიზაციის საქმიანობის ეროვნულ ან სხვა შემთხვევაში, რეგიონულ ბეჭდვით ორგანოებში.

ისო/ნეგის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაო პროგრამა თითოეული სტანდარტისათვის უნდა მიუთითებდეს კლასიფიკაციას, რომელიც დაკავშირებულია მის სფეროსთან, სტანდარტის შემუშავების ეტაპს და უნდა გაკეთდეს მითითება იმ საერთაშორისო სტანდარტებზე, რომლებიც გამოყენებულია საფუძველად. სამუშაო პროგრამის გამოქვეყნებამდე, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია პროგრამის არსებობის შესახებ აცნობოს ისო/იეკის საინფორმაციო ცენტრს ქენევაში.

შეგყობინება უნდა შეიცავდეს სტანდარტიზაციის ორგანოს დასახელებასა და მისამართს, პუბლიკაციის დასახელების და გამოცემის ნომერს, რომელშიც გამოქვეყნებულია სამუშაო პროგრამა, ამ პროგრამის მოქმედების პერიოდს, მის ღირებულებას (თუკი არსებობს) და ინფორმაციას, თუ სად და როგორ შეიძლება იქნეს იგი მიღებული. შეგყობინება შეიძლება პირდაპირ იქნეს გაგზავნილი ისო/იეკის საინფორმაციო ცენტრში, ან იმ შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, რომელიც არის ისო/იეკის წევრი, ან უმჯობესია, შესაბამისი ეროვნული წევრის ან ისო/ნეგის საერთაშორისო ფილიალის მეშვეობით.

ლ. ისო/იეკის ეროვნული წევრი ვალდებულია გააგაროს ძალისხმევა, რათა გახდეს ისო/ნეგის წევრი, ან სხვა ორგანოს დაავალოს მისი წევრობა, აგრეთვე, მიიღოს

ისო/ნეგის წევრობის ყველაზე მიღებული შესაძლო ფორმა. სტანდარტიზაციის სხვა ორგანოები უნდა მიისწრაფოდნენ ისო/ნეგის წევრთან ურთიერთობების დამყარებისაკენ.

L. სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია სტანდარტის მიღებამდე გაითვალისწინოს, უკიდურეს შემთხვევაში, 60 დღიანი პერიოდი, რათა სტანდარტის პროექტთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მიგნით არსებული დაინტერესებული მხარეების შენიშვნები. დროის ეს პერიოდი შეიძლება იქნეს შემცირებული, როდესაც წარმოიშვება ან შეიძლება წარმოშობილ იქნეს უსაფრთხოების, ჯანმრთელობის ან გარემოს გადაუღებელი პრობლემები. არაუგვიანეს შენიშვნებისათვის განკუთვნილი პერიოდის დაწყებისა, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს შეტყობინება J პუნქტით გათვალისწინებული შენიშვნების წარდგენის პერიოდის შესახებ. ასეთი შეტყობინება, შეძლებისდაგვარად, უნდა მიუთითებდეს განსხავდება თუ არა სტანდარტის პროექტი შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტისაგან.

M. მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია შეუფერხებლად მიაწოდოს, ან მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მიწოდებულ იქნეს იმ სტანდარტის პროექტი, რომელიც მან წარადგინა შენიშვნებისათვის. ამ მომსახურებისათვის აკრეფილი ნებისმიერი მოსაკრებელი უნდა იყოს თანაბარი, როგორც უცხოელთათვის, ისე თავისი მოქალაქეებისათვის, მიწოდების რეალური ღირებულების გათვალისწინებით.

N. სტანდარტის შემდგომი დამუშავებისას სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს შენიშვნები, რომლებიც მიიღო განხილვის პერიოდში. თუკი არსებობს თხოვნა, სტანდარტიზაციის იმ ორგანოებისაგან მიღებულ შენიშვნებზე, რომელთაც მიიღეს კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი, რაც შეიძლება მალე, უნდა იქნეს გაცემული პასუხი. ეს პასუხი უნდა შეიცავდეს განმარტებას იმის შესახებ, თუ რა მიზეზებით ხდება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტისაგან გადახრების გაკეთება.

O. სტანდარტის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მისი გამოქვეყნება.

P. მსო-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია შეუფერხებლად მიაწოდოს, ან მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მიწოდებულ იქნეს უკანასკნელი პერიოდის სამუშაო პროგრამის ან იმ სტანდარტის ასლები, რომლის მიღებასაც იგი აპირებს. ამ მომსახურებისათვის აკრეფილი ნებისმიერი მოსაკრებელი უნდა იყოს თანაბარი როგორც უცხოელთათვის ისე თავისი მოქალაქეებისათვის, მიწოდების რეალური ღირებულების გათვალისწინებით.

Q. სტანდარტიზაციის ორგანო ვალდებულია კეთილგანწყობით განიხილოს სტანდარტიზაციის იმ ორგანოებიდან მიღებული მოთხოვნა კონსულტაციების ჩაგარების თაობაზე, რომლებმაც მიიღეს კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი, ამასთანავე, უნდა მისცეს მათ წინამდებარე კოდექსის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესაბამისი კონსულტაციების გამართვის შესაძლებლობა. იგი ვალდებულია ობიექტურად გადაწყვიტოს ნებისმიერი საჩივარი.